



დომინიკ პაპენჰაიმი

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

DOMINIK PAPENHEIM

European Union Delegation in Georgia

გახდი გავლენის **ინვესტორი**
ACT FOR **IMPACT**

დომინიკ პაპენჰაიმი გახლავთ **საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის** ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო შესაძლებლობების **გუნდის ლიდერი**. მისი ძირითადი ფუნქციები მოიცავს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების მართვას.

დომინიკი ფლობს **15 წელზე მეტ პროფესიულ გამოცდილებას** საინვესტიციო მხარდაჭერისა და მეწარმეობის სფეროებში აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. მას განათლება მიღებული აქვს გეოგრაფიისა და ევროპული კვლევების სფეროებში.

Dominik Papenheim is the Team Leader for Economic Development and Market opportunities at the Delegation of the **European Union to Georgia**. In this function, he manages EU funded programmes and projects.

Mr Papenheim possesses **more than 15 years of professional experience** in the sphere of investment support and entrepreneurship in the Eastern Partnership region. He has a background in Economic Geography and European Studies.



ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი (CSRDG)

EKA URUSHADZE

Executive Director
Center for Strategic Research and Development
of Georgia (CSRDG)

გახდი გავლენის იმპაქტორი
ACT FOR IMPACT

ეკა ურუშაძე საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) **აღმასრულებელი დირექტორი და დამფუძნებელია**. ორგანიზაცია მდებარეობს თბილისში, თუმცა მისი საქმიანობა ფარავს მთელს საქართველოს.

სამოქალაქო სექტორში **27 წლიანი წარმატებული** კარიერის მანძილზე, ეკას უმუშავია სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე, როგორც ადგილობრივ ისე ცენტრალურ და საერთაშორისო დონეზე - **ადმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მასშტაბით**. ეკას ექსპერტიზა ასევე მოიცავს თემის განვითარების, ორგანიზაციული განვითარებისა და ფინანსური მენეჯმენტის სფეროებს.

Eka Urushadze is the **Executive Director and the founder** of the Centre of Strategic Research and Development of Georgia (CSRDG) based in Tbilisi and operating throughout the Georgia.

During her **27 years successful career** in the civil sector, she has worked in management positions and gained valuable experience in working on **local, central and international levels**. She has been leading network programs, coordinating coalition projects on local and regional levels – within Eastern Partnership countries. At the same time she is qualified community development practitioner experienced in organizational development and financial management issues.



ევა კონჩალი

ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაცია (EVPA), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მენეჯერი; პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის" მენეჯერი

EWA KONCZAL

European Venture Philanthropy Association (EVPA), CEE Manager; Collaborate for Impact project manager

გახდი გავლენის ინვესტორი
ACT FOR IMPACT

ევა კონჩალი ვენჩურული ფილანტროპიის ევროპულ ასოციაციას 2014 წლის მაისში შეუერთდა. ევა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მენეჯერია და ხელს უწყობს ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას ვენჩურული ფილანტროპიისა და გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების შესახებ.

ევა მართავს პირველ პოლონურ ვენჩურული ფილანტროპიის ფონდს, "ვალორესს", რომელიც პოლონეთში კერძო ინვესტირების ინიციატივით დაფუძნდა. ევას გამოცდილება სოციალური მეწარმეობის სფეროში ასევე მოიცავს 15 წლიან თანამშრომლობას აშოკასთან (Ashoka) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის დირექტორისა და პოლონეთში წარმომადგენლის პოზიციაზე.

ევა მუშაობდა ინდოეთსა (Global March Against Child Labor) და ეგვიპტეში AIESEC-სა და ეგვიპტურ-პოლონურ ბიზნესმენტა ასოციაციაში. ევამ დააფუძნა Magic Mountain Foundation, რომელიც სამთო სპორტსა და ცხენოსნობას მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერ ინსტრუმენტებად იყენებს.

ევას მიღებული აქვს AIESEC-ის ალუმნების მეწარმეობისა და ლიდერობის ჯილდო. ის ფლობს მაგისტრის ხარისხს მარკეტინგსა და მენეჯმენტში

Ewa Konczal joined European Venture Philanthropy Association - EVPA in May 2014 as the Central and Eastern Europe (CEE) Manager. Ewa is spreading the knowledge about venture philanthropy and social investment in CEE.

She manages the first Polish VP Fund **Valores**, initiative of the PE community in Poland. Ewa has over **15 years of experience in social entrepreneurship as a Representative of Ashoka** in Poland and as **Ashoka Director for Central and Eastern Europe**.

Prior to Ashoka, Ewa worked in India with Global March Against Child Labor, and in Egypt with AIESEC and Egyptian-Polish Businessman Association. She has set up the Magic Mountain Foundation, using mountain sports and natural horsemanship as tools for change for people with disadvantages. Ewa is the recipient of the **AIESEC Alumni Entrepreneurship & Leadership Award**. She has a Master's degree in Marketing and Management.



ქრისტინე კანდელაკი

გავლენის ფონდ "აქციოს" მენეჯერი

KRISTINE KANDELAKI

Actio, Fund Manager

გახდი გავლენის ინვესტორი
ACT FOR IMPACT

ქრისტინე კანდელაკს აქვს სამოქალაქო სექტორში მუშაობის **8 წლიანი გამოცდილება**. ამჟამად ის იკავებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის მენეჯერის პოზიციას საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში (CSRDG). 2017 წლიდან ქრისტინე აქტიურად არის ჩართული საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესებში.

ქრისტინეს დიდი გამოცდილება აქვს **პროექტების მართვის, რესურსების მობილიზების, სატრენინგო და საკონსულტაციო სფეროებში**.

2021 წლიდან ქრისტინე უძღვება **ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტს "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის"**, რომელიც ხორციელდება EVPA-სთან პარტნიორობით. პროექტის ფარგლებში ქრისტინე მუშაობს საქართველოში გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების განვითარებისა და სოციალური საწარმოების გაძლიერების მიმართულებით.

2022 წლიდან ქრისტინე საქართველოში **პირველი გავლენის ფონდის, "აქციოს" მენეჯერი** გახდა. ფონდის ინიციატორი და დამფუძნებელია CSRDG.

ქრისტინე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს სოციალურ მეცნიერებებში და მაგისტრის ხარისხს **შრომისა და ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში**.

Kristine Kandelaki has 8 year experience in the civic sector. She holds a position of Civil Society Development Program Manager at the Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDG). Since 2017 she has been actively engaged in the development of social entrepreneurship in Georgia. Kristine has extensive **experience in project management, resource mobilisation and consultancy work**.

Since 2021, Kristine has been acting as a country manager of the **Collaborate for Impact project in Georgia funded by the European Commission** and implemented in partnership with EVPA. In frames of the project she contributes to development of impact investment in Georgia and empowerment of social enterprises.

Since 2022, Kristine has been managing the **first impact fund in Georgia Actio initiated by CSRDG**.

Kristine holds a Bachelor's degree in Social Sciences and a Master's degree in **Work and Organisational Psychology** from the Tbilisi State University.



ნიკოლოზ ალავიძე

"აქციოს" გავლენის ინვესტორი

NIKOLAZ ALAVIDZE

Impact Investor of Actio

გახდი გავლენის ინვესტორი
ACT FOR IMPACT

ნიკოლოზ ალავიძე 23 წელზე მეტია მოღვაწეობს საბანკო, საფინანსო, საერთაშორისო ვაჭრობის ფინანსების, საკონსულტაციო და მართვის სფეროებში.

2019 წელს ნიკოლოზი იკავებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მინისტრის მოადგილის პოზიციას. ამჟამად ის არის საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი. ასევე, ნიკოლოზი უძრავი ქონებისა და ტელეკომუნიკაციების ინდუსტრიაში მოქმედი რამდენიმე კომპანიის მმართველი პარტნიორია.

ნიკოლოზი არის გავლენის მქონე ინვესტიციებზე ორიენტირებული მეწარმე და ანგელოზი ინვესტორი. მისმა ერთ-ერთმა პროექტმა, **Altitude 3014**, რომელიც ორ პარტნიორთან ერთად 2016 წელს წამოიწყო, საერთაშორისო აღიარება და საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის "მელიორას" გრანპრი მოიპოვა **ყველაზე პასუხისმგებელი მცირე და საშუალო ბიზნესი ნომინაციაში (2019)**.

2022 წლიდან ნიკოლოზი საქართველოში პირველი გავლენის ფონდის, "აქციოს", გავლენის ინვესტორია.

ნიკოლოზი ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ეკონომიკაში და გრენობლის უნივერსიტეტის (Grenoble Graduate School of Management) მაგისტრის ხარისხს ინოვაციების მენეჯმენტში.

Nikoloz Alavidze has over 23 years of experience in Banking, Finance, International Trade Finance, Consulting and Management.

He served in the public sector as a **Deputy Minister in the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia** (May-December 2019). At this moment Nikoloz works with **Georgian Rugby as a Senior Advisor to the President**. In addition, he acts as a managing partner of a few companies in the Real Estate and telecommunications industries.

Nikoloz is an entrepreneur and angel investor oriented on Impact investments. One of his projects that started in 2016 together with two partners, **Altitude 3014**, has gained international recognition and also has been awarded the Meliora Grand Prix in 2019 as a Most Responsible SME in Georgia.

Since 2022 Nikoloz has become an individual impact investor of Actio - the first impact Fund in Georgia.

Nikoloz holds Master Degree from Tbilisi State University in International Economics (2000) and Master Degree in Innovations Management, from **Grenoble Graduate School of Management (GGSB), France (2015)**.



მარტინ ბლომი

ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაცია (EVPA), ბენელუქსის ქვეყნებისა და გავლენის ფონდების ინიციატივის ხელმძღვანელი

MARTIJN BLOM

European Venture Philanthropy Association (EVPA), Impact Funds Initiative and Benelux Lead

გახდი გავლენის ინიციატივა
ACT FOR IMPACT

მარტინ ბლომი არის ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაციის (EVPA) გავლენის ფონდების **ინიციატივის ხელმძღვანელი**.

2007 წლიდან ის აქტიურად მოღვაწეობს გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების სფეროში თავისი კომპანიის, **Droomzaken-ისა და ბიზნეს ანგელოზების ქსელის De Investeerdersclub სახელით**. 2016 წელს მარტინი გახდა "ჰივოს იმფაქტ ინვესტმენტისა" (Hivos Impact Investments) და აღნიშნული კომპანიის მიერ მართული ორი ფონდის თანადამფუძნებელი. ჰივოსში მისი ძირითდი საქმიანობა მოიცავდა ინვესტორებთან ურთიერთობას.

წლების მანძილზე მარტინი იყო ისეთი კომპანიების საბჭოებისა და საინვესტიციო კომიტეტების წევრი როგორებიცაა **Brabant Startup Funds** და **Seed Capital and Business Development Committee**.

2003 წელს მარტინმა თავისი კარიერა მეწარმეობას დაუკავშირა. მან წარმატებით განავითარა რეკრუტინგული კომპანია **JongeHonden**.

Martijn Blom holds the **position of the Lead** Impact Funds Initiative at the European Venture Philanthropy Association - EVPA.

Martijn has been active as an impact investor since 2007 from his companies **Droomzaken** and **business angel network De Investeerdersclub**. In 2016 he co-founded Hivos Impact Investments, and the two funds under management, where he was responsible for investor relations.

Over the years Martijn has held several positions in boards and investment committees for a diversity of funds, like currently for the **Brabant Startup Funds** and **earlier in the Seed Capital and Business Development Committee of the DGGF (fund of funds)**.

In 2003 Martijn started his career as an entrepreneur, when he successfully scaled and exited a staffing agency: **JongeHonden**.



ერიკ ჰალგრენი

საინვესტიციო კომპანია იქუითინი (Equitin), დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი; პირველი პოლონური გავლენის ფონდის, ვალორესის (Valores) თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი

ERIK HALLGREN

Equitin, Co-founder and Managing Partner; Co-founder and board member of Valores - the first venture philanthropy fund in Poland

გახდი გავლენის ინიციატორი ACT FOR IMPACT

ერიკ ჰალგრენი არის საინვესტიციო კომპანია “იქუითინის” (Equitin) დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი. კომპანიის მისიაა ბაზრის ლიდერების განვითარება პოლონეთში. **ერიკი პოლონეთში, ასევე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევოპაში, კერძო კაპიტალის პიონერია.** 1995 წლიდან ის იყო კომპანია “ორესა“-ს (Oresa) დამფუძნებელი გუნდის წევრი. მისი ძალისხმევით “ორესა” გახდა წამყვანი კერძო კაპიტალის კომპანია საშუალო და დაბალი ბაზრის სეგმენტში. მანამდე ერიკი მუშობდა კომპანია “ორიფლეიმში”.

ერიკი პირველი პოლონური ვენჩურული ფილანტროპიის ფონდის, “ვალორესის” თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრია და მონაწილეობს ფონდის მიერ მხარდაჭერილი მრავალი ორგანიზაციის გაძლიერებაში. ვალორესთან თანამშრომლობით მან დაიწყო კერძო სექტორში კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებული კომპეტენციების **სოციალური საწარმოებისთვის გაზიარება და ამ გზით მათი მხარდაჭერა გავლენის გაზრდის თვალსაზრისით.**

ერიკი ფლობს კოპენჰაგენის ბიზნესის სკოლის მაგისტრის ხარისხს სოციალურ მეცნიერებებში და ბელგიის სოლვეი ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში. ის შვედეთის მოქალაქეა, თუმცა ბოლო **20 წელია ცხოვრობს ვარშავაში.**

Erik Hallgren is a co-founder and Managing Partner at Equitin – an investment company focused on developing market leaders in Poland. **Erik is a pioneer in private equity in Poland and CEE.** He was part of the founding team of Oresa in 1995 and built it into one of the leading private equity firms in the lower mid-market segment. Prior to that, he worked at Oriflame.

Erik is a co-founder and board member of Valores, the first Polish venture philanthropy fund and engaged in a number of the organisations supported by Valores. He has mastered application of the private equity competences that he usually exercises with the investment portfolio, now towards the **social entrepreneurs and their abilities to grow their impact.** Erik has been heavily involved with a number of Valores portfolio organisations development.

Erik has an MSc from Copenhagen Business School and an MBA from Solvay Business School in Brussels. Erik is a citizen of Sweden and resides in Warsaw for the **past 20 years.**



სტანისლავ კნაფლევსკი

ვენჩურული კომპანია ალტამირას (Altamira) თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი; პირველი პოლონური გავლენის ფონდის, ვალორესის (Valores) თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი

STANISŁAW KNAFLEWSKI

Altamira Ventures, Founder and Managing Partner; Co-founder and board member of Valores - the first venture philanthropy fund in Poland

გახდი გავლენის იწვესტორი ACT FOR IMPACT

სტანისლავ კნაფლევსკი “ალტამირა ვენჩურსის” (Altamira Ventures) დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორია. კომპანია ინვესტიციებს აკეთებს განვითარებულ ტექნოლოგიებში, რომლებიც ეფუძნება მეცნიერულ გამოგონებებსა და აღმოჩენებს. ის იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი კერძო კაპიტალის ფონდის “ენტერფრაიზ ინვესტორსისა” (Enterprise Investors) და “ბოსტონ ქონსალთინგ გრუფის” (Boston Consulting Group) (პარიზი და ვარშავა) პარტნიორი. სტანისლავის გამოცდილება მოიცავს წამყვან პოზიციებს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა AB, Stomil SAnok, Lukas Bank, ბულგარეთის ტელეკომუნიკაციები.

სტანისლავი პირველი პოლონური ვენჩურული ფინანსრობის ფონდის, “ვალორესის” თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრია. **ფონდს მან კერძო კაპიტალის მოზიდვის უაღრესად დიდი გამოცდილება მოუტანა.** სტანისლავს სიღრმისეულად ესმის კომერციული ინვესტიციების მოტივაცია და ინტერესები. მას აქვს მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევების გარშემო პროფესიული და პირადი კონტაქტების მობილიზების გამორჩეული გამოცდილება. **მას დიდი წვლილი მიუძღვის ღირებული ინვესტიციების მოზიდვაში როგორც ვალორესისთვის, ისე უკრაინაში იძულებით გადაადგილებული პირების მხარდამჭერი ინიციატივისათვის - Shelter Ukraine.**

სტანისლავი ფლობს INSEAD-ის მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში. მან ასევე წარმატებით გაიარა ერთწლიანი ასპირანტურა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების ინსტიტუტში (MIT). სტანისლავი ასევე ფლობს მაგისტრის ხარისხს იურისპრუდენციაში მიკიევიცის უნივერსიტეტსა (პოლონეთი, პოზნანი) და ევროპის კოლეჯში (ბელგია, ბრიუგე).

Stanisław Knaflewski is the founder and managing partner of Altamira Ventures, a company investing in advanced technologies **based on scientific inventions and discoveries (“Deep tech”)**. Previously, he was a partner at Enterprise Investors, a leading private equity fund in Central and Eastern Europe and also at the Boston Consulting Group in Paris and Warsaw. Stanisław performed leading functions in AB S.A., Stomil Sanok S.A., Lukas Bank S.A., Bulgarian Telecommunications.

Stanislaw is a co-founder and board member of Valores, the first Polish venture philanthropy fund, where he has transferred his extensive experience in fundraising for private equity funds. **Stanislaw has a full understanding of the motivations and interests of commercial investors like himself.** He has outstanding ability to mobilise his professional and personal networks for social causes. **He has been instrumental in bringing a number of valuable Valores investors on board and recently also for the Shelter Ukraine initiative to support internally displaced people in Ukraine.**

He completed the MBA program at INSEAD at Fontainebleau and one-year postgraduate studies at MIT (Cambridge, USA). He received a Master of Law degree at the University of A. Mickiewicz in Poznań and a Master of Law degree at the College of Europe in Bruges.



მიქალ რადივილი

საინვესტიციო კომპანია ინპულსი (Inpulse), ფონდის მენეჯერი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტკრედიტის (SmartCredit) საბჭოს წევრი; ნოვიტი ფაინანსის (Noviti Finance) საბჭოს წევრი

MICHAL RADZIWILL

Inpulse, Fund Manager; Board member of SmarCredit; Board member of Noviti Finance

გახდი გავლენის ინვესტორი
ACT FOR IMPACT

მიქალ რადივილი პოლონეთში **სოციალური მეწარმეობისა და სოციალურ გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების პიონერია**. მისი ხელმძღვანელობით გავლენის ფონდმა TISE-მ შექმნა პოლონეთში ერთ-ერთი პირველი სესხის პროგრამა, რომელიც განკუთვნილი იყოს სოციალური საწარმოების მხარდაჭერისათვის. 2018-2021 წლებში მიქალი მართავდა Polish Social Venture Capital-ს - პირველ პოლონურ ორგანიზაციას, რომელიც სოციალურ საწარმოებს **მხარს უჭერდა კაპიტალისა და კვაზი-კაპიტალის ინვესტირებით**.

2006 წლიდან მიქალი იკავებს ფონდის მენეჯერის პოზიციას საინვესტიციო კომპანია Inpulse Fund Manager scrl/CoopEst-ში. 2021 წლიდან ის არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია SmartCredit-ისა (მოლდოვა) და Noviti Finance-ის (ფინტექ კომპანია ლიეტუვაში) საბჭოს წევრი.

მიქალს დიდი გამოცდილება აქვს აუდიტისა და ფინანსების სფეროში საფრანგეთსა და პოლონეთში. მას განათლება მიღებული აქვს ფინანსებისა და ეკონომიკის განხრით პარიზში Institut d'Etudes Politiques-ში და ფლობს ვარშავის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს ენებსა და გამოყენებით ლინგვისტიკაში.

Michal Radziwill has led one of the **pioneer loan programs for social enterprises in Poland through TISE**. In 2018-2021 Michal managed the **first Polish Social Venture Capital** and supported social enterprises with equity and quasi-equity investments.

Since 2006 Michal has acted as a fund manager of the Inpulse Fund Manager scrl / CoopEst. Additionally, since 2021 he has been a board member of the microfinance institution SmartCredit, (Moldova) and Noviti Finance (Lithuania) - fintech company granting loans to micro and small enterprises.

Michal has large experience in audit and finance in France and Poland. Michal studied finance and economics in Paris, Institut d'Etudes Politiques (Sciences Po). He holds a Master's degree in Languages & Applied Linguistics from Warsaw University.